

მანანა მელიქიშვილი

ბიჭევიორიზმი

2012

მანანა მელიქიშვილი,
ბიჰევიორიზმი

რედაქტორი:

ნათია ნაცვლიშვილი

ყდის დიზაინი და დაკაბადონება:

ლევან ბარბაქაძე

მასალის მომზადებისას განუული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით
ნინო ლაბარტყავას და საბა ჩიხლაძეს

© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2012.

www.tpdg.ge

ბიჰევიორიზმი

ძირითადი საკითხები:

1. სწავლისადმი სამი მიდგომა.
2. ი. პავლოვის შეხედულება სწავლაზე.
3. ბიჰევიორიზმის ძირითადი პოსტულატები.
 - ჯ. უოტსონის შეხედულება სწავლაზე.
 - ე. თორნდაიკის შეხედულება სწავლაზე.
4. ბ. ფ. სკინერის თეორიის ძირითადი პოსტულატები და მისი გამოყენება განათლებაში.
 - რესპონდენტული და ოპერანტული ქცევა.
 - ქცევის ექსპერიმენტული ანალიზი.
 - პოზიტიური და ნეგატიური განმტკიცება.
 - პოზიტიური და ნეგატიური დასჯა.
 - ავერსიული კონტროლი.
 - განმტკიცების განრიგი.
5. კლასის მართვის ბიჰევიორისტული მოდელი.

ერთ-ერთი კითხვა, რომელსაც ყველაზე ხშირად სვამენ მასწავლებლები, გახლავთ შემდეგი: - როგორი პრობებია უფრო ეფექტური, რათა მოსწავლის ქცევაში სასურველი ცვლილებები შევიტანოთ?

ქვემოთ განვიხილავთ ბიჰევიორისტების მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სწავლისადმი სამი მიდგომა

სწავლა - ეს არის ახალი ინფორმაციისა და ცოდნის, ჩვევებისა და ჩვეულებების, დამოკიდებულებებისა და რწმენის შექმნა. შესაბამისად, **ფსიქოლოგები განმარტავენ სწავლას, როგორც გარკვეულწილად სტაბილურ ცვლილებებს ადამიანის ცოდნასა და ქცევით პოტენციალში, რომელიც გამოწვეულია გამოცდილებით (გარემო) და არ არის დაკავშირებული - დალლასთან, ტრავმასთან, ავადმყოფობასთან და ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიურ ცვლილებებთან.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწავლა არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც გამოცდილება იწვევს გარკვეულწილად მუდმივ ცვლილებებს ცოდნაში ან ქცევაში.

ცვლილება რომ სწავლად ჩაითვალოს, იგი უნდა იყოს ადამიანის გამოცდილების, გარემოსთან მისი ურთიერთობის შედეგი. მხოლოდ მომნიშვნელო გამოწვეული ცვლილება, როგორცაა სიმალლეში ზრდა ან გაჭაღარავება არ ითვლება სწავლად. ცვლილებები, რომელთაც იწვევს ავადმყოფობა, დალლა ან შიმშილი, ასევე არ შედის სწავლის განსაზღვრებაში.

ფსიქოლოგთა უმრავლესობა ამ დებულებას იზიარებს, მაგრამ ზოგი ხაზს უსვამს ცოდნას, ზოგი კი - ქცევას. **კოგნიტიური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები**, რომლებიც ყურადღებას ცოდნის ცვლილებაზე ამახვილებენ, ფიქრობენ, რომ სწავლა შინაგანი გონებრივი საქმიანობაა. აქედან გამომდინარე, ისინი ყურადღებას ამახვილებენ სწავლის ინტელექტუალურ პროცესებზე (მეხსიერება, აზროვნება). კოგნიტივისტები ცდილობენ, გასცენ პასუხი შემდეგ კითხვებს: - როგორ ხდება ცოდნის მიღება? როგორ ვწყვეტთ პრობლემებს? როგორ ხდება ახალი ინფორმაციის ორგანიზება? როგორ ვიხსენებთ ინფორმაციას, ვცვლით და ვიყენებთ?

ბიჰევიორისტული (behavior ინგ. - ქცევა) შეხედულება გულისხმობს, რომ სწავლის შედეგი ქცევის ცვლილებაა და

ხაზს უსვამს ადამიანზე გარემო მოვლენების გავლენის მნიშვნელობას. ბიჰევიორისტები ცდილობენ, ახსნან წესები, რომლის მიხედვითაც მყარდება კავშირი სტიმულსა და რეაქციას (ქცევას) შორის.

მესამე მიდგომაა ჰუმანიზმი. ჰუმანიზტი ფსიქოლოგები ყურადღებას ამახვილებენ ადამიანის ინდივიდუალობასა და უნიკალურობაზე. მათი ყურადღების ცენტრშია ადამიანის ემოციური განვითარება, და არა ინფორმაციის გადამუშავება ან სტიმულ-რეაქციები (იხ. ცხრილი №1).

ცხრილი № 1. სწავლისადმი 3 მიდგომა.

| მიდგომა | ამოსავალი ნერტილი | ძირითადი ცნებები | წარმომადგენლები | სარგებელი მასწავლებლისთვის |
|--------------|-------------------|---|--|---|
| ბიჰევიორიზმი | ქცევა | სტიმული, რეაქცია, განმტკიცება, დასჯა, ქცევის მოდიფიკაცია, ასოციაციური სწავლა. | პავლოვი, უოტსონი, თორნდაიკი, სკინერი, ბანდურა. | ხსნის სწავლას ჩვევებისა და ასოციაციების ჩამოყალიბებით. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს განმტკიცებაზე. |
| კოგნიტივიზმი | შემეცნება | გადანყვეტილების მიღება. გაგება. კოგნიტური სტრუქტურა. აღქმა. მენსიერება. | პიაჟე, ბრუნერი | ხსნის გაგების (აზროვნების) განვითარებას. ხაზს უსვამს ცოდნის გააზრებას და ორგანიზებას. |
| ჰუმანიზმი | პიროვნება | მე-კონცეფცია. თვითაქტუალიზაცია. ღირსების გრძნობა. | მასლოუ, როჯერსი | ხსნის ემოციურ განვითარებას. ხაზს უსვამს პიროვნების კეთილდღეობას. |

ი. პავლოვის შეხედულება სწავლაზე

სწავლის ყველაზე ადრეული ახსნა არისტოტელეს ეკუთვნის. მან თქვა, რომ ჩვენ საგნებს (მოვლენებს) ვიმასხოვრებთ მაშინ, როცა:

- ისინი მსგავსია
- საპირისპიროა
- მოსაზღვრეა

ყველაზე მნიშვნელოვანია ბოლო, ასოციაციით სწავლის პრინციპი. როდესაც ორი ან რამოდენიმე შეგრძნება ერთდროულად საკმაოდ ხშირად წარმოიქმნება, მათ შორის მყარდება ასოციაციური კავშირი. მოგვიანებით, როცა ამ შეგრძნებათაგან ერთ-ერთი (სტიმული) იჩენს თავს, მეორეც გვახსენდება ხოლმე (რეაქცია). მაგალითად, როცა ჩვენ გვესმის სიტყვა „ისტორია“, შეიძლება გაგვახსენდეს ჩვენი ისტორიის მასწავლებელი.

იდეათა შორის ასოციაცია ასევე დიდ როლს ასრულებს კლასიკური განპირობების სახელით ცნობილ სასწავლო პროცესში (პავლოვი, უოტსონი).

კლასიკური პირობითი რეფლექსი აღმოაჩინა ი. პავლოვმა, რუსმა ფიზიოლოგმა, რომელიც ცდილობდა, დაედგინა: ჭამიდან რამდენი ხნის შემდეგ გამოყოფდა ძალი კუჭის წვენს. პირველად ძალებმა ნერწყვი გამოყვეს ჭამის დროს, შემდეგ - როგორც კი საჭმელი დაინახეს, ხოლო მერე - როგორც კი გაიგეს, რომ მეცნიერი, რომელიც მათ აჭმევდა, ლაბორატორიას უახლოვდებოდა.

საკვები წარმოადგენს უპირობო სტიმულს, რადგან არავითარი წინასწარი წვრთნა არ არის საჭირო ნერწყვის გამოყოფასა და საკვებს შორის ბუნებრივი კავშირის დასადგენად. მან ეს ავტომატურად გამოიწვია. როცა ნერწყვის გამოყოფა საჭმლის ან მეცნიერის დანახვაზე იწყება, საკვები (მეცნიერი) გახდა

პირობითი სტიმული, ხოლო რეაქცია (კუჭის წვენის გამოყოფა) - განპირობებული საპასუხო რეაქცია, პირობითი რეფლექსი.

კლასიკური განპირობება - ეს არის ავტომატური რეაქციების დაკავშირება ნეიტრალურ სტიმულთან, რომელიც, გამეორების შემთხვევაში, ხდება პირობითი სტიმული - ინვევს რეფლექსს ან ემოციურ რეაქციას.

კლასიკური პირობითი რეფლექსის გამომუშავებით, შესაძლებელია ადამიანებსა და ცხოველებს ასწავლო ისეთ სტიმულებზე რეაგირება, რომელსაც ადრე არავითარი ეფექტი არ ჰქონდა.*

*** საკითხავი მასალა.**

ნარკოტიკის გადაჭარბებული დოზის მიღებით გამოწვეული გარდაცვალება და ი. პავლოვის თეორია

ნარკოტიკის (ჰეროინის) გადაჭარბებული დოზის მიღებით გამოწვეული გარდაცვალება საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა ნამალდამოკიდებულ ადამიანთა შორის. ცნობილია, რომ მიჩვევასთან ერთად, ნამალდამოკიდებული ადამიანი სულ უფრო მეტად ზრდის პრეპარატის დოზას, რომელიც მისთვის რეგულარული ხდება. ჩვეულებრივი ადამიანისათვის კი გაზრდილი დოზა შეიძლება სასიკვდილო აღმოჩნდეს. საქმე ისაა, რომ ნამალდამოკიდებული ადამიანის ორგანიზმი გამოიმუშავებს გარკვეულ მექანიზმებს, რომელიც იცავს მას ნარკოტიკული პრეპარატის მავნე ზემოქმედებისაგან. რატომ ხდება, რომ ნამალდამოკიდებული ადამიანი იღუპება ნარკოტიკის დიდი, მაგრამ მისთვის ჩვეული დოზის მიღების შედეგად? ი. პავლოვის თეორია იძლევა პასუხს ამ კითხვაზე.

დავუშვათ, რომ ნარკოტიკული პრეპარატი არის უპირობო სტიმული, ხოლო მისი ორგანიზმის დაცვითი მექანიზმები კი - უპირობო რეაქცია. როდესაც ნამალდამოკიდებული ადამიანი

ნარკოტიკულ პრეპარატს იღებს გარკვეულ სიტუაციაში - თავის მეგობრებთან ერთად, ჩვეულ ადგილას, მაშინ ეს სიტუაცია ხდება პირობითი სტიმული. ეს სიტუაცია ინვევს (მაგალითად, მომზადების ჩვეული რიტუალი) ორგანიზმის რეაქციას, ხდება დაცვითი მექანიზმების ჩართვა.

როგორც გადაჭარბებული დოზის მიღების შემდეგ გადარჩენილი ადამიანები ამბობენ, მათ ნარკოტიკული პრეპარატი მიიღეს მათთვის არატიპურ გარემოში (მაგალითად, უცნობ ადგილას). ამ შემთხვევაში პირობითი სტიმული (ნაცნობი სიტუაცია), რომელიც იწყებდა ორგანიზმის მომზადებას, არ იყო მოცემული და ორგანიზმმა ვერ გაუძლო მათთვის ჩვეულ დოზას.

ბიჰევიორიზმის ძირითადი პოსტულატები

ბიჰევიორიზმი, ანუ მოძღვრება ადამიანის ქცევის შესახებ, ჩამოყალიბდა XX საუკუნის დასაწყისში. ბიჰევიორისტები (ჯ. უოტსონი, ე. თორნდაიკი, ბ.ფ. სკინერი) მიიჩნევენ, რომ ფსიქოლოგიამ უნდა შეისწავლოს მხოლოდ უშუალო დაკვირვებისთვის მისაწვდომი მოვლენები (ქცევა). ცნობიერების შესწავლა კვლევის მეცნიერული მეთოდებით შეუძლებელია - მისი დაფარულობისა და სუბიექტურობის გამო. ამიტომ, ისინი თვლიან, რომ მეცნიერული ფსიქოლოგიის შესწავლის საგანი უნდა იყოს ადამიანის ქცევა და არა მისი შინაგანი სამყარო (აზროვნება, გრძნობები და სხვა).

ბიჰევიორისტებმა სწავლის თითქმის ყველა ძირითადი პრინციპები ცხოველებზე დაადგინეს, ამავე დროს, ისინი თვლიან, რომ ადამიანის სწავლისას იგივე კანონზომიერებები მოქმედებს.

ბიჰევიორისტების აზრით, არ არსებობს ახალი ინფორმაციის თავისთავად დაუფლების წინაპირობები. ინფორმაცია ადამიანს (ბავშვს) გარედან მიეწოდება. სწავლის პროცესში ცენტრალური ფიგურაა მასწავლებელი. იგი გარკვეული ინსტრუქციებითა და მითითებებით ასწავლის მოსწავლეს. ჩვეულებრივ, ინფორმაცია გულდასმით არის გაანალიზებული, დავალებებად დანაწევრებული და მოსწავლეს თანმიმდევრობით მიეწოდება. მასწავლებელი ფლობს ინფორმაციას და მისი მოვალეობაა, ბავშვს ცოდნა გადასცეს. მასწავლებელმა უნდა შეაფასოს მოსწავლის მიერ ათვისებული ცოდნის ხარისხი და შემდგომ საფეხურზე გადასვლამდე კვლავ განამტკიცოს განვლილი მასალა.

ბიჰევიორისტული სწავლების თეორია არის **მასწავლებელზე ორიენტირებული, დირექტიული სწავლება**. მასწავლებელი სრულად აკონტროლებს სასწავლო და აღმზრდელობით პროცესს. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაზღვრავს სასწავლო მასალას, წარმართავს მას, განსაზღვრავს გაკვეთილის ტემპს, ამოწმებს და ასწორებს მოსწავლეთა ცოდნას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მასწავლებელი არის ცოდნის გადამცემი, მაკონტროლებელიც და შემფასებელიც.

ჯ. უოტსონის შეხედულება სწავლაზე

ბიჰევიორიზმის ფუძემდებლად მიჩნეულია ჯ. უოტსონი (განიცდიდა ი. პავლოვის იდეების გავლენას). ჯ. უოტსონის თანახმად, ადამიანი იბადება რეფლექსების გარკვეული რაოდენობით. სწავლა კი წარმოადგენს რეფლექსების საფუძველზე განხორციელებულ კლასიკურ განპირობებას.*

***საკითხავი მასალა.**

პატარა ალბერტი

უოტსონმა და რაინერმა 8 თვის ალბერტი დააშინეს პატარა, სათამაშო თეთრი ვირთხით, რომელიც მას ძალიან მოსწონდა. მათ თეთრი ვირთხის გამოჩენა დაანყვილეს უპირობო, ავერსიულ სტიმულთან - ლითონის ფირფიტაზე ჩაქუჩის დარტყმით გამოწვეულ უსიამოვნო ხმასთან. შეერთომის უპირობო რეაქცია და ემოციური დისტრესი გახდა სწავლის მიზეზი - ალბერტი, უკვე 7 ცდის შემდეგ, შიშით რეაგირებდა თეთრი ვირთხის დანახვაზე. ემოციური განპირობება განზოგადდა ქცევით განპირობებაზე, რადგან ალბერტმა ისწავლა ვირთხისთვის თავის არიდება, მისგან გაქცევა. შემდეგ შიში განზოგადდა საერთოდ ბენვიან საგნებზე - ბაჭიაზე, ძაღლზე და სანტა კლაუსის ნიღაბზეც კი. ალბერტის დედამ, რომელიც მედდად მუშაობდა იმავე ჰოსპიტალში, სადაც ექსპერიმენტი ტარდებოდა, მანამდე წაიყვანა იგი, ვიდრე მას შიშს მოუხსნიდნენ. ამიტომ არავინ იცის, რა ბედი ენია პატარა ალბერტს.

P. S. დღეს ასეთი სახის ექსპერიმენტის ჩატარება ფსიქოლოგის ეთიკური ნორმების დარღვევად არის მიჩნეული.

შესაბამისად, ადამიანთა შორის განსხვავება არის შედეგი მათი ცხოვრებისეული გამოცდილების. ჯ. უოტსონი მიიჩნევს, რომ ფიქრის, განზრახვისა და სხვა შინაგანი ფსიქიკური მოვლენების მეცნიერულად და სრულყოფილად შესწავლა შეუძლებელია. ეს „მენტალიზმი“, როგორც ის უწოდებს, საერთოდ არ უნდა ყოფილიყო მოხსენებული სწავლის განმარტებისას.

„მომეცით რამდენიმე ჯანმრთელი ჩვილი ბავშვი და შესაძლებლობა, აღვზარდო ისინი სპეციალურ გარემოში. მე გაძლევთ გარანტიას, რომ შემთხვევით შერჩეული ერთი მათგანისგან ნებისმიერი პროფილის სპეციალისტს გამოვიყვან: ექიმს, მხატვარს, ვაჭარს, მათხოვარსა და ქურდსაც კი. მიუხედავად მათი მიდრეკილებისა, ნიჭისა, მისი წინაპრების საქმიანობისა და რასობრივი იდეოლოგიისა,“ - წერს ჯ. უოტსონი.

შესაძლოა, ჩვენი ბევრი ემოციური რეაქცია სხვადასხვა სიტუაციაზე ნასწავლი იყოს კლასიკური განპირობების გზით. მაგალითად, ბავშვმა შეიძლება ტირილი დაიწყოს თეთრხალათიანი ადამიანის დანახვისას, თუკი ადრე მას ექიმმა რაიმე მტკივნეული პროცედურა ჩაუტარა.

კლასიკური პირობითი რეფლექსი მოქმედებს როგორც მოსწავლეზე, ასევე, მასწავლებელზე. გახსოვდეთ, რომ საკლასო ოთახში ისწავლება არა მხოლოდ იდეები და ფაქტები, არამედ ემოციები და დამოკიდებულებები. ამ ემოციურმა სწავლამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს აკადემიურ სწავლაზე.

კლასიკური განპირობება (განსაკუთრებით ემოციური რეაქციების) გვხვდება ყველა სასწავლო დაწესებულებაში. სწორედ ეს არის იმის საფუძველი, რომ სკოლა, საგანი, მასწავლებელი ჩვენ ან მოგვწონს, ან - არა. მაგალითად, რომელიმე სასწავლო საგანი (იგულისხმება, რომ მოსწავლემ არ იცის საგანი) - ნეიტრალური სტიმული, თავიდან იწვევს მცირე ემოციურ რეაქციას. მაგრამ მასწავლებელი, საკლასო ოთახი ან რაიმე სხვა სტიმული, რომელიც ხშირად უკავშირდება სასწავლო საგანს, შეიძლება გახდეს უპირობო სტიმული. ეს უპირობო სტიმული შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც სასიამოვნო რეაქციებთან (მოხერხებული მერხი, კეთილგანწყობილი პედაგოგი), ასევე უსიამოვნო რეაქციებთან

(მოუხერხებელი მერხი, უხეში მასწავლებელი, ცუდი დაფა). შედეგად, საგანი (მაგალითად, მათემატიკა) უკავშირდება უპირობო სტიმულს (მაგალითად, მოუხერხებელი მერხი) და ემოციები, რომლებიც დაკავშირებულია უპირობო სტიმულთან, შეიძლება გახდეს კლასიკური განმამტკიცებელი საგნის მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლება ვასწავლოთ მათემატიკა და ამავე დროს ვასწავლოთ, რომ არ უყვარდეთ მათემატიკა. აქედან გამომდინარე, მასწავლებელმა, რომელიც იწვევს მოსწავლეების ღიმილს, როცა ისინი სწავლობენ, მაგალითად, გამრავლების ტაბულას, შეიძლება მიაღწიოს წარმატებებს თავისი მოსწავლეების სწავლებაში. შედეგად მივიღებთ:

1. ღიმილს და სასიამოვნო განწყობას, რაც, თავისთავად, შედეგია.
2. ორი სტიმულის (მაგალითად, 2 და 3) კავშირს რეაქციასთან (6).
3. სიყვარულს მათემატიკის, მასწავლებლის, სკოლის მიმართ.

კლასიკური პირობითი რეფლექსის გამოყენება საკლასო ოთახში.

რეკომენდაციები:

1. დააკავშირეთ სასწავლო დავალებებთან პოზიტიური, სასიამოვნო მოვლენები.
 - მონაცემთა საკლასო ოთახი ისე, რომ ის კომფორტული იყოს. მაგალითად, დანყებით კლასებში შეიძლება მოაწყოთ საკითხავი კუთხე ბალიშებითა და ფერადი წიგნებით.

- ყურადღება მიაქციეთ ჯგუფურ შეჯიბრებებსა და თანამშრომლობას (გაითვალისწინეთ, რომ მორიდებულ ბავშვებს შეჯიბრებაზე ნეგატიური რეაქცია აქვთ, რაც შეიძლება სწავლაზე განზოგადდეს).
2. დაეხმარეთ მოსწავლეებს, გარისკონ და მიაღწიონ წარმატებებს შფოთვის გამომწვევ სიტუაციაში.
- დაავალეთ მორცხვ მოსწავლეებს, დაეხმარონ მეგობარს დავალების შესრულებაში.
 - ყოველდღე, და შემდეგ - კვირაში ერთხელ, ჩაუტარეთ მოსწავლეებს ტესტები, რომელშიც ნიშანს არ დაუწეროთ.
 - თუ მოსწავლეს ეშინია კლასის წინაშე საუბრის, მიეცით მას უფლება, მცირე ჯგუფის წინაშე, დამჯდარმა გიპასუხოთ გაკვეთილი, შემდეგ იგივე გააკეთებინეთ ფეხზე მდგომს, ბოლოს დაავალეთ, რომ მთელი კლასის წინაშე გიპასუხოთ.
3. დაეხმარეთ მოსწავლეებს, გაარჩიონ სიტუაციათა მსგავსებები და განსხვავებები, რათა შეძლონ მოვლენათა განზოგადება და განსხვავება.
- აუხსენით პატარებს, რომ უნდა ერიდონ უცნობებს, რომლებიც მათ საჩუქრებს ან სადმე მიყვანას სთავაზობენ, მაგრამ მიიღონ ეს შემოთავაზება იმ შემთხვევაში, თუ ეს მშობლის თანდასწრებით მოხდება.
 - აუხსენით მოსწავლეებს, რომლებიც ძალიან დელავენ მისაღები გამოცდების თაობაზე, რომ ეს გამოცდა მათ მიერ ჩაბარებული სხვა ნებისმიერი გამოცდისგან არ განსხვავდება.

რა განსაზღვრავს კავშირს სტიმულებს, რეაქციებს და სტიმულ-რეაქციას შორის?

ი. პავლოვის და ჯ. უოტსონის თანახმად, ეს არის მათი ერთდროულად მიწოდება. მათი აზრით, ორი მოვლენის ერთდროულად აღმოცენება საკმარისია ასოციაციური სწავლისთვის. ე.ი. საკმარისია დაგრეკოთ ზარი და მიეცეთ საკვები X-ჯერ, რათა ადგილი ჰქონდეს სწავლას.

ე. თორნდაიკისა და სკინერის თანახმად კი საჭიროა განმტკიცება. მათი აზრით, რეაქციის შედეგი იწვევს სწავლას.

ე. თორნდაიკის შეხედულება სწავლაზე

ე. თორნდაიკი თავის შრომებში განიხილავს იმ პირობებს (კანონებს), რომლებიც იწვევს კავშირების (ასოციაციების) განმტკიცებას ან დარღვევას. ეს კანონები ქმნის მისი სწავლის თეორიის საფუძვლებს.

ეფექტის კანონი

დიდია ალბათობა იმ რეაქციების გამეორებისა, რომელმაც გამოიწვია კმაყოფილების მდგომარეობა და ნაკლებია ალბათობა ისეთი რეაქციის გამეორებისა, რომელიც იწვევს უკმაყოფილებას. მოგვიანებით, ე. თორნდაიკმა შეიტანა ცვლილებები ეფექტის კანონში. ადრე ის თვლიდა, რომ უკმაყოფილების მდგომარეობა იწვევს კავშირების დარღვევას (დავინყებას). შემდგომში მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ის, რაც იწვევს კმაყოფილებას, გამოიწვევს სწავლას, ხოლო ის, რაც იწვევს უკმაყოფილებას, არ იწვევს დავინყებას, არამედ ადამიანი ასრულებს სხვა აქტივობას.

ამ კანონიდან გამომდინარე, მასწავლებელმა მოსწავლის სწორი რეაქციები უნდა დააჯილდოს. ჯილდოს და დასჯის გამოყენების დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული სიტუაცია და ბავშვი.

მზაობა

სწავლა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსწავლის მზაობაზე. ისეთი ფაქტორები, როგორცაა - მომნიჭება და გამოცდილება, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმას, თუ როგორი იქნება სწავლა - ადვილი, რთული თუ შეუძლებელი. ეს კანონი საფუძვლად უდევს დასჯისა და ნახალისების ე. თორნდაიკისეულ განმარტებას. კერძოდ, მზაობა განსაზღვრავს, არის თუ არა მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი. კმაყოფილების მდგომარეობა (ჯილდო) ჩნდება მაშინ, როცა ადამიანი მზადაა, რაღაც გააკეთოს და შეუძლია ამის გაკეთება. ამავე დროს, თუ ადამიანს არ აქვს შესაძლებლობა, გააკეთოს ის, რისთვისაც მზადაა, ან იძულებულია, გააკეთოს ის, რისთვისაც მზად არ არის, ეს იწვევს უკმაყოფილების მდგომარეობას (დასჯა).

რას ნიშნავს მზაობა?

მზაობა შეიძლება დამოკიდებული იყოს ფიზიკურ მომნიჭებაზე, ინტელექტუალურ ჩვევებზე, ცოდნაზე. შესაბამისად, მზაობის შესაფასებლად და განსავითარებლად საჭიროა მასწავლებელმა იცოდეს ბავშვის ემოციური და ინტელექტუალური განვითარების კანონზომიერებები.

გამეორება

გამეორება ხელს უწყობს კავშირის (ცოდნის) სიმტკიცეს. ამ კანონს ათეული წლების განმავლობაში უდიდესი მნიშვნელობა

ჰქონდა სწავლების პროცესზე. ვარჯიში და გამეორება მიღებული იყო, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პედაგოგიური ტექნიკა.

მოგვიანებით, ე. თორნდაიკმა კატეგორიულად უარყო ეს კანონი. მის მიერ ადამიანებზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ თავისთავად გამეორება არ იწვევს სწავლას.

მრავლობითი რეაქცია

როცა ადამიანის წინაშეა რთული პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც მან არ იცის, ის გამოიმუშავებს მრავალ შესაძლო რეაქციას მანამ, სანამ ერთ-ერთი მათგანი არ გამოიწვევს პრობლემის გადაჭრას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრობლემის გადაჭრა ხდება ცდისა და შეცდომის მეთოდით. ამ კანონის გამო, ე. **თორნდაიკის თეორია ცნობილია, როგორც ცდისა და შეცდომების მეთოდებით სწავლის თეორია.**

განწყობა

სწავლა ხშირად დამოკიდებულია წინასწარ ჩამოყალიბებულ განწყობაზე, ანუ გარკვეული სახით რეაგირების ტენდენციაზე. ეს კანონი გვიჩვენებს, რომ ადამიანები ხშირად რეაგირებენ ახალ სიტუაციაში თავისი განწყობებიდან გამომდინარე. განწყობა განიცდის მნიშვნელოვან კულტურულ გავლენას. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში აგრესიული რეაქციები უფრო ხშირად გვხვდება, შესაბამისად, დიდია ალბათობა, რომ ადგილი ექნება მათ განმტკიცებას. კულტურა და უშუალო გარემო არა მხოლოდ იმაზე ახდენს გავლენას, თუ რა რეაქციას განახორციელებს ადამიანი, არამედ იმაზეც, თუ რა განიხილება დამაკმაყოფილებლად და რა - არა. მაგალითად, ბავშვის უშუალო გარემო განსაზღვრავს, თუ რა იქნება მისთვის პრიორიტეტული - სწავლა თუ პოპულარობა.

ელემენტთა დომინირება (ყურადღების მიქცევა)

ორგანიზმი რეაგირებს სიტუაციის მნიშვნელოვან ელემენტებზე. მაგალითად, დიდ ყუთში მოთავსებული კატა არ ცდილობს ჭერიდან გამოსვლას, არამედ მანიპულირებს კარის ურდულით.

მოსწავლეს არ შეუძლია რეაქცია ჰქონდეს ყველაფერზე, რასაც ის ხედავს და ესმის კონკრეტულ შემთხვევაში. ამიტომ მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს სასწავლო სიტუაციის მნიშვნელოვან ასპექტებზე. მაგალითად, ხაზი გაუსვას მნიშვნელოვან აზრს, გამოიყენოს ფერი, ხმა, ჟესტი, გამეორება და ა. შ.

ანალოგიის კანონი (განზოგადება)

მაგალითად, როცა მოსწავლე იყენებს სკოლაში ნასწავლ გამრავლების წესებს, იმისთვის, რომ განსაზღვროს, რამდენი ფანქრის ყიდვა შეუძლია 5 ლარად, ის აზოგადებს ნასწავლს. მასწავლებელმა შეიძლება ხელი შეუწყოს განზოგადებას, მიუთითებს რა იმ სიტუაციებს, სადაც შეიძლება ცალკეული რეაქცია ან წესი იქნეს გამოყენებული. ასევე, მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას იდეებს შორის კავშირს. ეს კავშირები არის ცოდნის საფუძველი - ამბობს ე. თორნდაიკი.

ბ. ფ. სკინერის თეორიის ძირითადი პოსტულატები და მისი გამოყენება განათლებაში

ბ. ფ. სკინერმა გამოყო ქცევის ორი ტიპი: რესპონდენტული და ოპერანტული ქცევა. **რესპონდენტულ (respond - ინგ. - რეაქცია, პასუხი. respondent - მოპასუხე) ქცევაში** სტიმული ყოველთვის წინ უსწრებს რეაქციას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ხორციელდება, როგორც რეაქცია სტიმულზე.

რესპონდენტი (სკინერის ტერმინი) - რაიმე სტიმულზე რეაქცია

უპირობო რეაქცია რესპონდენტული ქცევის მაგალითია. მაგალითად, დაცემინება, თვალის ხამხამი, შიმშილი, შიში, აგზნება და ა.შ. არის რესპონდენტები. მათთვის საერთოა ის, რომ ისინი არიან ავტომატური, უნებლიე რეაქციები სტიმულზე. მსგავსი რეაქციები შეიძლება იყოს კლასიკურად განპირობებული. სკინერის თანახმად, კლასიკური განპირობება აღწერს მხოლოდ იმას, თუ როგორ შეიძლება დაუკავშირდეს არსებული ქცევა ახალ სტიმულს. კლასიკური განპირობება არ ხსნის იმას, თუ როგორ იძენს ადამიანი ახალ, ოპერანტულ ქცევას.*

*საინტერესო ფაქტი.

ატარებდა რა ექსპერიმენტებს ცხოველებზე, სკინერი გახდა ვირტუოზი მომთვინიერებელი. მას შეეძლო, მტრედისთვის რამოდენიმე წუთში ესწავლებინა ცეკვა.

ოპერანტი (operatio ლათ. - მოქმედება) ქცევა - ეს არის ფართოდ გავრცელებული ქცევის მნიშვნელოვანი ტიპი, რომელიც არ არის რეაქცია რაიმე სტიმულზე, არამედ ეს არის ორგანიზმის მიერ განხორციელებული რეაქცია (ქცევა).

ოპერანტი (სკინერის ტერმინი) - რეაქცია, რომელიც არ არის გამონვეული რაიმე სტიმულით.

მაგალითად, მანქანის მართვა, წერილის დაწერა, სიმღერა, ნიგნის კითხვა და ა.შ. უმრავლეს შემთხვევაში, არის ოპერანტი. ისინი წარმოიქმნებიან არა როგორც რეაქცია სტიმულზე, არამედ

როგორც მოქმედება, რომელსაც აკონტროლებს ადამიანი.

ოპერანტული ქცევა ემორჩილება ოპერანტული განპირობების კანონებს.

განპირობება - ეს არის დასწავლის სახე, როდესაც კავშირი მყარდება სტიმულსა და რეაქციას შორის.

ოპერანტული განპირობება განსხვავდება თორნდაიკის სწავლის კონცეფციისა და მისი ეფექტის კანონისაგან. თორნდაიკი თვლიდა, რომ განმტკიცების ეფექტი მდგომარეობს სტიმულსა და რეაქციას შორის კავშირის დამყარებაში. ხოლო სკინერი თვლიდა, რომ კავშირი მყარდება რეაქციასა და განმტკიცებას შორის. ე.ი ოპერანტული განპირობების დროს ადგილი აქვს ჯერ ქცევას, ხოლო შემდეგ ადგილი აქვს განმტკიცებას. ოპერანტული სწავლის დროს იზრდება განმტკიცებული რეაქციის გამეორების ალბათობა.

რა არის ოპერანტული განპირობება?

ოპერანტული განპირობება - ეს არის დასწავლის ფორმა, რომელიც გულისხმობს ქცევის გაძლიერებას განმტკიცების შედეგად.

ქცევის განხორციელების მიზეზი გარემოშია, ამბობს სკინერი. ამიტომ ბიჰევიორიზმის მიზანია, აღმოაჩინოს და აღწეროს კანონები, რომლებიც მართავენ ორგანიზმსა და გარემოს შორის ურთიერთემოქმედებას. ამ საკითხის გასარკვევად, სკინერი მიმართავს ქცევის ექსპერიმენტულ ანალიზს. **ქცევის ექსპერიმენტული ანალიზი არის სკინერის სისტემა, სადაც აქცენტი კეთდება ქცევასთან დაკავშირებული ცვლადების**

ანალიზზე: - რას აკეთებს ორგანიზმი; პირობები, სადაც მოქმედება ხორციელდება და ქცევის შედეგი.

სკინერი გამოყოფს ცვლადების ორ სახეს: **დამოუკიდებელი** (ეს არის ფაქტორები, რომელთა მართვაც შეიძლება, მაგალითად, განმტკიცება) და **დამოკიდებული** (დამოუკიდებელი ცვლადების მანიპულაციის შედეგი, მაგალითად, რეაქციის სიხშირე) ცვლადები. სკინერის სისტემაში დამოუკიდებელი ცვლადებია - განმტკიცების სახე და განრიგი, ხოლო დამოკიდებული ცვლადებია - რეაქციის გამოვლენის სიხშირე, დასწავლისთვის საჭირო დრო და განმტკიცების შეწყვეტის შემდეგ, ქცევის შენახვის დრო (ქცევის ჩაქრობის სიჩქარე). იხ. ცხრილი №2.

სკინერის ქცევის ექსპერიმენტული ანალიზის ცვლადები. ცხრილი №2.

| დამოუკიდებელი ცვლადები | დამოკიდებული ცვლადები |
|------------------------|-----------------------|
| განმტკიცების სახე | დასწავლის სიჩქარე |
| განმტკიცების განრიგი | რეაქციის სიხშირე |
| | ქცევის ჩაქრობის დრო |

განვიხილოთ თითოეული ცვლადი.

განმტკიცება

სკინერი ასხვავებს ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ ცნებას: განმამტკიცებელი სტიმული და განმტკიცება. განმამტკიცებელი სტიმული - ეს არის - სტიმული, ხოლო განმტკიცება კი - ამ სტიმულის შედეგად მიღებული ეფექტი. მაგალითად,

შოკოლადი შეიძლება იყოს განმამტკიცებელი სტიმული, ხოლო მისი ზემოქმედება ბავშვზე - განმტკიცება.

განმამტკიცებელი სტიმული, ჩვეულებრივ, განისაზღვრება, როგორც სტიმული, რომელიც ზრდის რეაქციის გამოვლენის ალბათობას. ზოგი სტიმული შეიძლება იყოს ძლიერი განმამტკიცებელი ზოგიერთი ადამიანისთვის და სრულიად არ ინვედეს განმტკიცებას სხვა ადამიანთან. მაგალითად, პირველკლასელისთვის ვარსკვლავის დაწერა (მათ მიერ შესრულებულ სამუშაოში) შეიძლება გახდეს მათი ინტერესისა და მონდომების რეაქციის ზრდის საფუძველი, ხოლო თუ უნივერსიტეტის პროფესორი ვარსკვლავებს დაუწერს სტუდენტებს, ამან შეიძლება, სულ მცირე, სტუდენტების გაკვირვება გამოიწვიოს.

განმამტკიცებელი სტიმული შეიძლება იყოს პირველადი (უპირობო) და მეორადი (პირობითი). პირველადი (უპირობო) სტიმულები თავისი ბუნებით განმამტკიცებელია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი განმამტკიცებელი ეფექტის სწავლა საჭირო არ არის. ისინი დაკავშირებულნი არიან ორგანიზმის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან, მაგალითად, საკვები, წყალი და ა.შ.

მეორადი (პირობითი) განმამტკიცებელი სტიმული არის ნეიტრალური სტიმული, რომელიც უპირობო სტიმულთან დაკავშირების შედეგად ხდება განმამტკიცებელი სტიმული - ფული, პრესტიჟი, წარმატება, შექება. მაგალითად, ფული პატარა ბავშვისთვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს, სანამ ის არ გაიგებს, რომ ფულის საშუალებით შეიძლება იყიდოს მისთვის სასურველი ნივთი; ნიშანი არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს მოსწავლისთვის, თუ მისი მშობლები არ აქცევენ ყურადღებას და არ აფასებენ კარგ ნიშნებს.

მეორადი განმამტკიცებელი სტიმულები შეიძლება 3 კატეგორიად დავყოთ:

1. სოციალური განმამტკიცებელი სტიმულები - შექება, ღიმილი, ყურადღება.
2. ქცევითი განმამტკიცებელი სტიმულები - სათამაშოები და სახალისო აქტივობები.
3. სიმბოლური განმამტკიცებელი სტიმულები - ნიშანი, ფული.

განმამტკიცებელი სტიმულები შეიძლება იყოს პოზიტიური და ნეგატიური. პოზიტიური განმამტკიცებელი სტიმული ზრდის ქცევის გამეორების ალბათობას (როგორც წესი, ეს სასიამოვნო სტიმულებია). ნეგატიურ განმამტკიცებელ სტიმულს აქვს იგივე შედეგი, მხოლოდ მისი მოხსნის შემთხვევაში. როგორც წესი, ნეგატიური განმამტკიცებელი სტიმულებია ავერსიული (უსიამოვნო ან მტკივნეული) სტიმულები. მაგალითად, ელექტრო შოკი ან ბავშვის გაკვეთილების შემდეგ სკოლაში დატოვება.

შესაბამისად, **არსებობს ორი სახის განმტკიცება - პოზიტიური და ნეგატიური. პოზიტიური განმტკიცება გულისხმობს პოზიტიური სტიმულის მიწოდებას.** მაგალითად, თუ ბავშვი კარგად ისწავლის გაკვეთილს, მასწავლებელი მას შეაქებს. **ნეგატიური განმტკიცება კი გულისხმობს ნეგატიური სტიმულის მოცილებას.** მაგალითად, მანქანის უსაფრთხოების ღვედის სასიგნალო ზარი შეწყდება, როცა თქვენ ღვედს გაიკეთებთ, ან მოსწავლე „ავად“ ხდება საკონტროლოს წინ. ეს მოქმედება მოსწავლეს საშუალებას აძლევს, აიცილოს უსიამოვნო სიტუაცია - საკონტროლო. თუმცა აქ შეიძლება გარკვეული როლი ითამაშოს კლასიკურმა პირობითმა რეფლექსმაც.

შეიძლება მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ პირობითი რეფლექსი და საკონტროლოს წინ უსიამოვნო ფიზიოლოგიურ რეაქციებს განიცდიდნენ.

ამის მსგავსად, **არსებობს ორი სახის დასჯა: პოზიტიური, როცა მიეწოდება ავერსიული სტიმული და ნეგატიური, როცა იხსნება სასიამოვნო, პოზიტიური სტიმული.** მაგალითად, ბავშვი ცუდად მოიქცა და დედა მას გაუბრაზდა (პოზიტიური დასჯა); ბავშვი ცუდად მოიქცა, ამიტომ მას არ მისცეს უფლება, კომპიუტერით ეთამაშა (ნეგატიური დასჯა).

როცა მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეს რაიმე სასიამოვნოს, უღიმის, უწერს მაღალ შეფასებას, აქებს - ესაა პოზიტიური განმტკიცების მაგალითები. მუქარა, დაცინვა, გაბრაზება, დამცირება და ა. შ. - არის ავერსიული სტიმულები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ნეგატიური განმამტკიცებელი, ან დასჯის ერთ-ერთი სახე.

განმტკიცდება თუ არა რაიმე მოვლენის შედეგები, დამოკიდებულია ადამიანის მიერ მოვლენათა აღქმის უნარზე და მისთვის ამ მოვლენის მნიშვნელობაზე. მაგალითად, ერთი მოსწავლისათვის სკოლიდან გაგდება შეიძლება სასჯელი იყოს, მაშინ როცა სხვისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. სხვათა შორის, სკინერს არაფერი უთქვამს იმაზე, თუ რატომ აძლიერებს განმამტკიცებელი ქცევას. მისი თქმით, უსარგებლოა ისეთ „წარმოსახვით კონსტრუქციებზე“ საუბარი, როგორიცაა - მოლოდინი, მნიშვნელობა, საჭიროება, დაძაბულობა. სკინერი უბრალოდ აღწერდა ქცევის ზრდის ტენდენციას გარკვეული განმტკიცების შემდეგ.*

*** საკითხავი მასალა.**

სკინერის მეთოდით ზემოქმედება პედაგოგზე

ერთ-ერთ ამერიკულ კოლეჯში ფსიქოლოგმა სტუდენტებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი. მათ პედაგოგს ჩვევად ჰქონდა ლექციის კითხვისას ერთი კუთხიდან მეორისკენ სიარული. როცა ის ფანჯრისკენ მიდიოდა, სტუდენტები ახდენდნენ ინტერესის დემონსტრირებას - იწყებდნენ ჩანაწერების გაკეთებას, უყურებდნენ თვალებში, იღებდნენ ინტერესის გამომხატველ პოზას. როცა პედაგოგი მიდიოდა კარისკენ, აუდიტორია ეშვებოდა, არ ახდენდა ინტერესის და ყურადღების დემონსტრირებას, იწყებდნენ ლაპარაკს. რამდენიმე ლექციის შემდეგ პედაგოგმა შეწყვიტა აუდიტორიაში სიარული და მთელი ლექციის განმავლობაში მყარად იდგა ფანჯარასთან.

როგორც პოზიტიური, ასევე ავერსიული სტიმულები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც განმტკიცებისთვის, ასევე დასჯისთვის. იხ. ცხრილი №3

ოპერანტული განპირობება. ცხრილი №3

| ცნება | განმარტება | მაგალითი | შესაძლო შედეგი |
|-----------------------|--|--|---|
| პოზიტიური განმტკიცება | ქცევის განხორციელების ალბათობა იზრდება დადებითი განმტკიცების მიღების შემხვევაში. | გიორგიმ კარგად ისწავლა გაკვეთილი. მას ამისთვის აქებენ. | იზრდება ალბათობა იმისა, რომ გიორგი შემდეგშიც კარგად ისწავლის გაკვეთილს. |
| ნეგატიური განმტკიცება | ქცევის განხორციელების ალბათობა იზრდება უსიამოვნო სტიმულის მოხსნის შედეგად. | გიორგის ეშინია, რომ ვერ შეძლებს კარგი პრეზენტაციის გაკეთებას. ამიტომ ის არ მიდის სკოლაში. მისი შიში ქრება. | იზრდება ალბათობა, რომ გიორგი მომავალშიც თავს აარიდებს სტრესულ სიტუაციას. |
| პოზიტიური დასჯა | ქცევის განხორციელების ალბათობა მცირდება უსიამოვნო სტიმულის მინოდების შედეგად. | მამა გაუბრაზდა გიორგის, რადგან მან სკოლა გააცდინა. | იზრდება ალბათობა იმისა, რომ გიორგი სკოლაში წავა, მიუხედავად იმისა, რომ ეშინია პრეზენტაციის გაკეთების. |
| ნეგატიური დასჯა | ქცევის განხორციელების ალბათობა მცირდება სასიამოვნო სტიმულის მოხსნის შედეგად. | გიორგი ცუდად მოიქცა გაკვეთილზე, ამიტომ ის არ გაუშვეს დასვენებაზე. | იზრდება ალბათობა, რომ გიორგი შემდეგში გაკვეთილზე კარგად მოიქცევა. |

ავერსიული კონტროლი

უნდა აღინიშნოს, რომ ნეგატიური განმტკიცება და დასჯა ორი სხვადასხვა სიტუაციაა, თუმცა მათ ხშირად ურევენ ერთმანეთში, ვინაიდან ორივე სიტუაციაში გამოიყენება ავერსიული სტიმულები. ისინი განსხვავდებიან თავიანთი ზემოქმედებით ქცევაზე. კერძოდ, დასჯის შედეგია ქცევის შემცირება, ხოლო ნეგატიური განმტკიცება (ასევე პოზიტიური) ზრდის ქცევის განმეორების ალბათობას. ნეგატიურ განმტკიცებაში სიტყვა „ნეგატიური“ სულაც არ გულისხმობს იმას, რომ განმტკიცებული ქცევა აუცილებლად ნეგატიური ან ცუდი უნდა იყოს. ამ კონტექსტში ეს სიტყვა უფრო - მინუსის, გამოკლების მნიშვნელობით იხმარება. მაგალითად, როცა ბავშვი ამბობს სიტყვას „მადლობა“, მასწავლებელი მას უღიმის (პოზიტიური განმტკიცება). თუ ბავშვს დაავინყდა „ჯადოსნური“ სიტყვის თქმა და მასწავლებელი მას გაუბრაზდა, ესაა პოზიტიური დასჯა, ხოლო თუ ამის გამო მას სათამაშოდ არ გაუშვებენ, მაშინ ეს იქნება ნეგატიური დასჯა. როცა ბავშვს ესმის, რომ სიტყვა „მადლობის“ თქმით ის თავიდან აიცილებს მასწავლებლის საყვედურს, ესაა ნეგატიური განმტკიცება. იხ. ცხრილი №4.

ცხრილი №4

| | სტიმულის მინოდება | სტიმულის მოცილება |
|-----------------------|--------------------------|--------------------------|
| სასიამოვნო სტიმული | პოზიტიური განმტკიცება | ნეგატიური დასჯა |
| უსიამოვნო სტიმული | პოზიტიური დასჯა | ნეგატიური განმტკიცება |

სამწუხაროდ, ნეგატიური განმტკიცება და დასჯა საკმაოდ ხშირად გამოიყენება, როგორც სკოლაში, ასევე ოჯახში. ესაა ავერსიული კონტროლის მეთოდები, მაგალითად, დაბალი შეფასება, საყვედური, მუქარა და ა.შ.

***საკითხავი მასალა.**

ავერსიულ კონტროლს აქვს კიდევ ერთი არასასიამოვნო ეფექტი. უღრინმა და ეზრინმა მოათავსეს ორი ვირთხა სიტუაციაში, სადაც მათ უნდა ეტრიალებინათ ბორბალი, რათა თავი დაეცვათ ელექტროშოკისგან. ვირთხები, ბორბლის ტრიალთან ერთად, ურტყამდნენ, კბენდნენ, პორჭყნიდნენ ერთმანეთს. თუმცა მათ ესმოდათ (რა თქმა უნდა, პრიმიტიულად), რომ მათი ტკივილის წყარო იყო ბორბალი, და არა მეორე ვირთხა.

სკინერი რეკომენდაციას გვაძლევს, გამოვიყენოთ პოზიტიური, და არა ავერსიული კონტროლი

არგუმენტები დასჯის გამოყენების წინააღმდეგ:

- დასჯა არ ახდენს სასურველი ქცევის დემონსტრირებას.
- დასჯას ხშირად თან ახლავს ნეგატიური ემოციური გამოვლინებები, რომელიც შეიძლება ასოციაციურად დაუკავშირდეს იმ ადამიანს, ვინც იყენებს დასჯას და არა იმას, თუ რისთვის სჯიან.
- დასჯა ხშირად იწვევს არასასურველი ქცევის დათრგუნვას (დროებით) და არა მის აღმოფხვრას.
- დასჯა ხშირად არაეფექტურია. მაგალითად, მშობლებს, რომლებიც ხშირად სჯიან შვილებს აგრესიული ქცევის გამო, ჰყავთ, სხვა ბავშვებთან შედარებით, უფრო აგრესიული შვილები.

განმტკიცების განრიგი

განმტკიცების განრიგი მიუთითებს იმაზე, თუ როგორ ხდება განმტკიცების მინოდება.

სკინერი თვლის, რომ ძალიან მცირე განმტკიცებაც კი შეიძლება საკმარისი იყოს ეფექტური სწავლისთვის და დიდი ხნით ქცევის შენარჩუნებისთვის. ასევე გადაჭარბებულმა განმტკიცებამ (მოყირჭებამ) შეიძლება გამოიწვიოს ქცევის შეფერხება.

სკინერი გამოყოფს: უწყვეტ (ხდება ყველა სწორი რეაქციის განმტკიცება), პერიოდულ (ხდება მხოლოდ ზოგიერთი სწორი რეაქციის განმტკიცება) და შერეული განმტკიცების განრიგს. ასხვავებენ პერიოდული განმტკიცების განრიგის ორ ფორმას: ინტერვალური, რომელიც ემყარება განმტკიცებათა შორის დროით ინტერვალს და პროპორციული, რომელიც ემყარება საპასუხო რეაქციათა რიცხვს. ინტერვალური და პროპორციული განრიგი შეიძლება იყოს მყარი (განმტკიცება ხდება დროის და საპასუხო რეაქციათა გარკვეული, მყარი რაოდენობის შემდეგ) და ცვლადი (განმტკიცება ხდება ცვლადი დროის და ცვლადი საპასუხო რეაქციების შემდეგ).

სკინერის ბევრი კვლევა მიმართული იყო განმტკიცების განრიგის და ქცევის დამოკიდებული ცვლადების (სწავლის სისწრაფე, რეაქციის სიხშირე, ქცევის ჩაქრობა) კავშირის დადგენაზე.

როგორ მოქმედებს სხვადასხვა განრიგი?

განმტკიცების განრიგის გავლენა ქცევის სწავლის სისწრაფეზე

ქცევის სწავლის საწყის ეტაპზე უწყვეტი განმტკიცების განრიგი უფრო ეფექტურია. სკოლის პრაქტიკაში ეს ნიშნავს,

რომ მაგალითად, პატარა ბავშვების სწავლებისას (მათ ხომ ბევრი ახალი ქცევა უნდა აითვისონ) საჭიროა უწყვეტი განმტკიცების განრიგის გამოყენება.

თუ განმტკიცება დამოკიდებულია საპასუხო რეაქციათა რიცხვზე (პროპორციული განმტკიცების განრიგი), მაშინ თქვენ მეტად აკონტროლებთ განმტკიცებას - რაც უფრო სწრაფად დააგროვებთ სწორ საპასუხო რეაქციათა რაოდენობას, მით უფრო სწრაფად მოხდება განმტკიცება. მაგალითად, მასწავლებელი, რომელიც ამბობს: - როგორც კი 10 დავალებას სწორად შეასრულებთ, შეგიძლიათ დაისვენოთ, - შესრულების უფრო მაღალ დონეს უნდა მოელოდეს, ვიდრე მასწავლებელი, რომელიც ამბობს: - იმუშავეთ 20 წუთის განმავლობაში, შემდეგ მე შევამოწმებ თქვენს ნამუშევრებს და ვისაც 10 სწორი პასუხი ექნება, შეიძლება დასასვენებლად წავიდეს.

უწყვეტი განმტკიცების და ორივე სახის მყარი, პერიოდული განმტკიცების (პროპორციული და ინტერვალური) განჭვრეტა ადვილად შეიძლება. ჩვენ განმტკიცებას ველით გარკვეულ მომენტში და მალე ვნებდებით, თუ განმტკიცებას არ მივიღებთ.

ქცევის ფორმირებისთვის ცვლადი განრიგი ყველაზე შესაფერისია. მის საფუძველზე ადამიანმა შეიძლება ისწავლოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობა, ყოველგვარი განმტკიცების გარეშე. მაგალითად, აზარტული თამაშების მოყვარულ ადამიანებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რაოდენ ეფექტურია პერიოდული, ცვლადი განმტკიცება.

განრიგის გავლენა ქცევის ჩაქრობაზე

კლასიკურ პირობით რეფლექსში საპასუხო რეაქცია ქრება, როცა არის პირობითი სტიმული და მას არ მოჰყვება უპირობო სტიმული (ძალი ხედავს მეცნიერს, მაგრამ ის არ აძლევს

მას საკვებს). ოპერანტულ განპირობებაში კი ადამიანი არ განახორციელებს ქცევას, თუ მას დიდი ხნის განმავლობაში არ მივანოდებთ განმამტკიცებელს. განმტკიცების შეწყვეტა ინვეს ქცევის ჩაქრობას. მაგალითად, თუ თქვენ მუდმივად უგზავნით მოსწავლის მშობელს წერილებს ინტერნეტით, მაგრამ ის არასდროს არ გპასუხობთ. თქვენ შეიძლება დაანებოთ თავი წერილების გაგზავნას.

უნყვეტი განმტკიცება იძლევა სწრაფ დასწავლას, თუმცა ხშირად არ ინვეს ქცევის დიდი ხნით შენარჩუნებას, განმამტკიცებელი სტიმულის მოხსნის შემდეგ. ქცევის დიდი ხნით შენარჩუნებას ხელს უწყობს პერიოდული, ცვლადი განმტკიცება. მაგალითად, თქვენ ცდილობთ ბავშვის სიბრაზის ან სიჯიუტის შემცირებას იგნორირების გზით, თუ ბავშვი ხანდახან „იმარჯვებს“ და თქვენ თავს ანებებთ მის იგნორირებას, ამ დროს ადგილი აქვს პერიოდულ, ცვლად განმტკიცებას. ამან კი შეიძლება მომავალში უფრო ხანგრძლივ ჭირვეულობას შეუწყოს ხელი.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, სწავლის დასაწყისში სჯობს გამოვიყენოთ განმტკიცების უწყვეტი განრიგი, ხოლო შემდეგ კი - პერიოდული.

განრიგის გავლენა რეაქციის გამოვლენის სიხშირეზე

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწავლის ადრეულ სტადიაზე მიღებული უწყვეტი განმტკიცების განრიგი უკეთეს შედეგს გვაძლევს, მაგრამ ჩვენ მიერ დასწავლილი ქცევა უფრო ხშირად განმეორდება, თუ შემდეგში მივიღებთ პერიოდულ განმტკიცებას. მაგალითად, მოსწავლემ, რომელიც სწავლობდა პატარა ქალაქის სკოლაში, 10 წლის განმავლობაში იყო სკოლის საუკეთესო მოსწავლე და მარცხი განიცადა უნივერსიტეტში გამოცდის ჩაბარებისას, შეიძლება თავი დაანებოს სწავლას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უწყვეტი განმტკიცების განრიგმა (ათი წლის განმავლობაში) გამოიწვია ქცევის სწრაფი ჩაქრობა.

კლასის მართვის ბიჰევიორისტული მოდელი

კლასის მართვის ბიჰევიორისტული მოდელი გულისხმობს მასწავლებლის მხრიდან კლასის მკაცრ მართვას. ბიჰევიორისტული მოდელის ყველაზე მნიშვნელოვან საყრდენს სკინერის ოპერანტული განპირობება წარმოადგენს.

ქცევის მოდიფიკაცია

ბიჰევიორისტული მოდელის მიზანია მოსწავლის ქცევის მოდიფიკაცია (შეცვლა). მას ხშირად უწოდებენ ქცევის მენეჯმენტს ან ბიჰევიორისტულ ინტერვენციას. კორექციული დისციპლინის ყველაზე გავრცელებული ელემენტებია - განმტკიცება და დასჯა.

განვიხილოთ კონკრეტული ბავშვის ქცევის ინტერვენციის პრისლენდის პროგრამა:

პრობლემის განსაზღვრა. ჩვეულებრივ, ეს არის ჩამონათვალი იმ ქცევების, რომლებიც ყველაზე ხშირად (მაგალითად, ლაპარაკობს გაკვეთილზე) ან იშვიათად გვხვდება (მაგალითად, ხელი აწია გაკვეთილის საპასუხოდ). პრობლემის განსაზღვრაში შეიძლება ჩაერთოს მოსწავლეებიც.

პრობლემის სერიოზულობის დადგენა. მასწავლებელმა უნდა გაარკვიოს, რამდენად სერიოზულია არასასურველი ქცევა (ხშირად გვხვდება თუ იშვიათად).

ქცევის წინა პირობებისა და შედეგების განსაზღვრა. რა პირობები უძღოდა წინ ქცევას? რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ქცევას? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა ახდენს ქცევის პროვოცირებას და განმტკიცებას.

გადანყვეტილების მიღება. მასწავლებელმა უნდა მიიღოს გადანყვეტილება, თუ როგორ შეცვალოს ქცევა. ეს ეხება როგორც ქცევის მაპროვოცირებელ სიტუაციას, ასევე, ქცევის შედეგს. რა ინვეს ხშირად განხორციელებული ქცევის განმტკიცებას? შეიძლება, თუ არა იშვიათად განხორციელებული ქცევის განმტკიცება? მაგალითად, კლასში დისციპლინის დარღვევის ერთ-ერთი მიზეზია მასწავლებლის ყურადღების მიპყრობა. ამიტომ თუ მასწავლებელი დისციპლინის დამრღვევს ყურადღებას მიაქცევს, ის ამით განამტკიცებს ქცევას. ამ შემთხვევაში სასურველია, რომ მასწავლებელმა მას ყურადღება არ მიაქციოს. ამავე დროს, მასწავლებლის ყურადღების მიპყრობა იშვიათი და სასურველი ქცევისადმი ინვეს მისი გამეორების სიხშირის გაზრდას.

პრევენციის დაგეგმვა და განხორციელება. მას შემდეგ, რაც გაირკვევა, რომელი ქცევა საჭიროებს შეცვლას, განსაზღვრავენ რა მის გამომწვევ ფაქტორებს (სტიმული) და მასთან დაკავშირებულ შედეგებს (პოტენციური განმტკიცება), შემუშავდება პროგრამა, რომლის მიზანია ქცევის შეცვლა. სასურველია, პროგრამა განიხილოთ მოსწავლეებთან.

შეფასება. პროგრამის განხორციელების შემდეგ მასწავლებელი და მოსწავლე აფასებენ მის ეფექტურობას. არკვევენ, საჭიროა თუ არა დამატებითი ან სხვა სახის ინტერვენციის განხორციელება.

განმტკიცების გამოყენების პრინციპები

მაიკლი აღწერს 7 პრინციპს, რომელიც უნდა ჰქონდეს მხედველობაში მასწავლებელს, როცა ის ცდილობს, შეცვალოს ბავშვის ქცევა.

1. ქცევის განმტკიცების ან დასჯის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ის კონკრეტულ ბავშვზე. მაგალითად, თანატოლების ყურადღება, ზოგადად, ძლიერი განმამტკიცებელია. მაგრამ მორიდებულმა ბავშვმა ის შეიძლება აღიქვას, როგორც დასჯა. განმტკიცება ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული ბავშვის მახასიათებლებს.

ბავშვს შეიძლება მივანოდოთ განმამტკიცებელი სტიმულების სია, სადაც ის თვითონ შეარჩევს მისთვის სასურველ განმამტკიცებელს (ეს ემყარება პრემაკის პრინციპს). მაგალითად, წიგნის წაკითხვა, ეზოში თამაში, ტელევიზორის ყურება და ა.შ.

2. განმტკიცება გავლენას ახდენს მოსწავლეზე (უსიტყვოდ, ახსნის გარეშე). არ არის აუცილებელი, მასწავლებელმა აუხსნას ბავშვებს, რომ თუ ისინი კარგად ისწავლიან, მიიღებენ განმტკიცებას. თუ მოსწავლეები კარგად ისწავლიან და შემდეგ ამისთვის მიიღებენ განმტკიცებას, ისინი თვითონაც მიხვდებიან, რომ კარგად უნდა ისწავლონ.
3. განმტკიცება ან დასჯა უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული სასურველ (ან არასასურველ) ქცევასთან. მოსწავლეებმა ზუსტად უნდა იცოდნენ, რატომ იღებენ ჯილდოს (ან ისჯებიან).
4. განმტკიცება უნდა იყოს თანმიმდევრული. ეს არ ნიშნავს იმას,

რომ უნდა მოხდეს ყოველი სწორი პასუხის განმტკიცება. ეს ნიშნავს, რომ კონკრეტული ქცევა არ შეიძლება ერთ შემთხვევაში განმტკიცდეს, ხოლო მეორე შემთხვევაში - დაისაჯოს.

5. განმტკიცება მყისიერად უნდა მოხდეს ქცევას. ჯილდოს ან დასჯის გადადება ნაკლებად ეფექტურია.
6. გამოიყენეთ განმტკიცების საკმაო რაოდენობა. მასწავლებლები ხშირად საკმაოდ არ აფასებენ განმტკიცების ძალას და რაოდენობას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწავლის დასაწყის ეტაპზე.
7. დაყავით დავალება საფეხურებად და განამტკიცეთ თითოეული მათგანი.

ქცევის განმტკიცების მეთოდები

პოზიტიური განმტკიცება გამოყენება, როგორც კორექციული სტრატეგიის მეთოდი, რომელიც გულისხმობს სასურველი ქცევის დაჯილდოებას, და არა შეუფერებელი ქცევის აღკვეთას.

მასწავლებლის არსენალშია სოციალური განმამტკიცებელი სტიმულების დიდი რაოდენობა, როგორცაა - შექება, ყურადღება, გალიმება, შეფასება.

შექება

ფსიქოლოგები ურჩევენ მასწავლებლებს, შეაქონ მასწავლებლები კარგი საქციელისთვის და ყურადღება არ მიაქციონ შეუფერებელ ქცევას. მაგალითად, ნინო არღვევს დისციპლინას საკლასო ოთახში. უფრო ეფექტური იქნება, თუ მასწავლებელი

მას ყურადღებას მიაქცევს მაშინ, როცა ის კარგად იქცევა და არ მიაქცევს ყურადღებას მის ცელქობას. თუ პრობლემური ქცევა თანატოლთა ყურადღებას იქცევს, მაშინ მასწავლებლის მხრიდან მისი იგნორირება წარმატებული ვერ იქნება. ქება-იგნორირების გამოყენება შეიძლება სასარგებლო იყოს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამით არ გადაიჭრება კლასის მართვის ყველა პრობლემა.

შექების სწორად გამოყენება, რეკომენდაციები:

1. შექება უნდა ეხებოდეს კონკრეტულ ქცევას.

- მოსწავლე უნდა ხვდებოდეს, რა ქმედებისთვის აქებენ. მაგალითად, შენ კარგად დაწერე საშინაო დავალება, და არა - პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა გაქვს.

2. აღიარეთ ნამდვილი მიღწევები.

- დააჯილდოვეთ მიზნის მიღწევა, და არა მონაწილეობა.
- არ დააჯილდოოთ მოსწავლეები, რომლებიც პროცესში მონაწილეობას არ იღებდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩუმად ისხდნენ და კლასს ხელს არ უშლიდნენ.
- შეაქეთ მოსწავლე, თუ ხედავთ პროგრესს წარსულთან შედარებით.
- ეცადეთ, მოსწავლემ ყურადღება საკუთარ მიღწევებსა და პროგრესზე გაამახვილოს, და არა სხვისაზე.

3. დააკავშირეთ მოსწავლის წარმატება - მონდომებასთან, შრომისმოყვარეობასთან.

- აღნიშნეთ, რომ წარმატება დამოკიდებულია შრომაზე და მონდომებაზე, და არა ილბაზე, ან სხვის დახმარებაზე.
- სთხოვეთ მოსწავლეებს, გაამბონ, რა პრობლემებს წააწყდნენ მუშაობისას და როგორ გადაჭრეს ეს პრობლემები.

ჟეტონების სისტემა

თუ სოციალური განმამტკიცებლები არ იძლევა შედეგს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჟეტონების სისტემა. როცა მოსწავლეები კარგი ქცევისთვის იღებენ ჟეტონს (სიმბოლურ ნიშანს), ხოლო არასასურველი ქცევისთვის კარგავენ მას. ჟეტონები ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მასწავლებელი აჯილდოებს მიზნისკენ მიმავალ პატარა, თანმიმდევრულ ნაბიჯებს. ჟეტონებად შეგვიძლია გამოვიყენოთ - სტიკერები, ვარსკვლავები, დახატული გაცინებული და მოწყენილი სახეები. წინასწარ დადგენილი რაოდენობის ჟეტონების შეგროვების შემდეგ მოსწავლეები მას სასურველ ჯილდოში ცვლიან. მოსწავლის ასაკის გათვალისწინებით, ჯილდო შეიძლება იყოს: ტკბილეული, საკვები, სათამაშოები, საკანცელარიო ნივთები ან სხვა პრივილეგია. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ჯილდო მოსწავლისთვის სასურველი იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში - ის არ გამოიწვევს ქცევის განმტკიცებას.

სხვა ვარიანტის მიხედვით, შეიძლება მოსწავლემ კლასში დამსახურებული სიმბოლური ნიშანი სახლში ჯილდოზე გაცვალოს. ეს გეგმა კარგია, როცა მასში მონაწილეობის

მიღება მშობელსაც სურს. ყურადღება! - არ გამოიყენოთ ეს პროცედურა, თუ ეჭვი გაქვთ, რომ მოსწავლეს ცუდი შედეგებისთვის დასჯიან.

სიმბოლური განმტკიცების სისტემა ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესია, როგორც წესი, ის 3 შემთხვევაში გამოიყენება:

1. შევუქმნათ მოტივაცია იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სწავლა არ აინტერესებთ.
2. იმ მოსწავლეების წასახალისებლად, რომლებსაც დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ.
3. ისეთ კლასთან გასამკლავებლად, რომელიც კონტროლს ძნელად ექვემდებარება.

უნდა აღინიშნოს, რომ სიმბოლური განმტკიცების სისტემას ნაკლები სარგებელი მოაქვს მოსწავლეთა გარკვეული კატეგორიისთვის - მენტალური პრობლემის მქონე ბავშვები, მცირე აკადემიური უნარების მქონე ბავშვები და პრობლემური ქცევის მქონე ბავშვები. ისინი დადებითად რეაგირებენ მაშინ, როცა განმტკიცება მყისიერია და კონკრეტული.

სიმბოლური განმტკიცების სისტემის გამოყენების მიზანია, მოსწავლის უნარების იმ დონეზე განვითარება, რომ მან შეძლოს, ეს უნარები გამოიყენოს შეტონების მიღების გარეშე. ასეთი შედეგის მისაღწევად, ნებისმიერი შეტონების სისტემა უნდა დაიგეგმოს ისე, რომ ბავშვმა რაც შეიძლება მალე შეძლოს მათ გარეშე ქცევის განხორციელება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვები შეტონებზე ისე ხდებიან დამოკიდებულნი, რომ ქცევის მოდიფიკაციის პროგრამის ეფექტი ნულამდე დადის.

შეტონი წარმოადგენს გარეგან განმამტკიცებელს. ყველა ის სტიმული, რომელიც მოდის გარემოდან, გარეგანი

განმამტკიცებლებია: ყურადღება, შექება, შეტონი, ვარსკვლავი, ნიშანი და ა.შ.

შინაგანი განმტკიცება გულისხმობს იმ წყაროს განმტკიცებას, რომელიც თვითონ პიროვნებას გააჩნია. ესაა - კმაყოფილება, მიღწევისა და წარმატების სასიამოვნო განცდა. მასწავლებლის ამოცანაა, ისე მოახდინოს სასწავლო სიტუაციის ორგანიზება, რომ ბავშვმა რაც შეიძლება სწირად მიიღოს შინაგანი კმაყოფილება. მაგალითად, თუ მოსწავლეს მივცემთ ძალიან რთულ, ან ძალიან ადვილ დავალებას, მაშინ ისინი ვერ მიიღებენ კმაყოფილებას.

პრემაკის პრინციპი

მასწავლებელს შეუძლია, წაახალისოს მოსწავლისათვის არასასურველი ქცევა, თუ მას დაუკავშირებს მისთვის უფრო სასურველ ქცევას. მასწავლებელი მხოლოდ მაშინ ხდის სასურველ ქცევას ხელმისაწვდომს, როცა მოსწავლე ნაკლებად სასურველ მოქმედებას შეასრულებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯერ შენ გააკეთე ის, რაც მე მინდა და შემდეგ ის გააკეთე, რაც შენ გინდა.

მაგალითად, მასწავლებელი ამბობს: - როგორც კი მორჩებით დავალების დაწერას, შეგიძლიათ ეზოში გახვიდეთ. ეს ტექნიკა ცნობილია დ. **პრემაკის პრინციპის** სახელწოდებით.

თანდათანობით მიახლოების სტრატეგია

რა ხდება მაშინ, როცა მოსწავლე მუდმივად განმამტკიცებლის გარეშე რჩება, რადგან არ შეუძლია დავალების კარგად შესრულება. მაგალითად, ყოველთვის დაბალ შეფასებას ღებულობს მათემატიკაში. ამისთვის უნდა გამოვიყენოთ თანდათანობით მიახლოების სტრატეგია, რომელიც გულისხმობს პროგრესის განმტკიცებას. ქცევა, რომლის

დაუფლებაც სურს მოსწავლეს, მასწავლებელმა უნდა დაეყოს მცირე, თანმიმდევრულ, ლოგიკურ ნაბიჯებად. ამასთანავე, ეს ტექნიკა აძლევს მასწავლებელს საშუალებას, დაადგინოს ის პრობლემური ადგილები, სადაც მოსწავლეები სიძნელეებს აწყდებიან.

ჯგუფური შედეგები

მასწავლებელმა შეიძლება განამტკიცოს კლასის ყველა წევრის ქცევა ერთობლივად. როგორც წესი, ეს გულისხმობს თითოეული მოსწავლის ნიშნის მიმატებას, კლასის ერთობლივი ნიშნისთვის. თავდაპირველად, მასწავლებლები და მოსწავლეები მსჯელობენ, თუ როგორ შეიძლება სასწავლო პროცესი უკეთესი გახდეს. შემდეგ ისინი განსაზღვრავენ იმ ქცევებსა და მოქმედებებს, რომელიც ხელს უშლის სწავლას. კლასი ორ ჯგუფად იყოფა. ყოველთვის, როცა მოსწავლე არღვევს რომელიმე წესს, მის ჯგუფს ეწერება ნიშანი (სიმბოლო). თვის ბოლოს (შეიძლება დროის სხვა შუალედის ბოლოს) იმ ჯგუფს, რომელსაც ასეთი ნიშანი ყველაზე ცოტა ექნება, ეძლევა ჯილდო ან პრივილეგია. თუ ორივე ჯგუფს ასეთი ნიშანი (სიმბოლო) ცოტა ექნება, ორივე მათგანი მიიღებს ჯილდოს.

შეგიძლიათ გამოიყენოთ ჯგუფური განმტკიცება, კლასის გუნდებად დაყოფის გარეშეც. განმტკიცება შეიძლება დაეფუძნოს მთელი კლასის ქცევას.

ჯგუფური მიდგომის გამოყენებისას სიფრთხილეა საჭირო. მთელი კლასი არ უნდა დაისაჯოს კონკრეტული ბავშვის შეცდომისა ან ცუდი საქციელის გამო. ამავე დროს, ბავშვი, რომლის გამოც ჯგუფი ხშირად იღებს ნეგატიურ შეფასებას, შეიძლება კლასში ყველასგან მოძულებული და გარიყული გახდეს.

ჯგუფური შედეგების მეთოდი ისეთ სიტუაციაშია რეკომენდებული, სადაც მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია

თანატოლთა აღიარება. თუ მოსწავლის ცუდ საქციელს აძლიერებს თანატოლთა ყურადღება და სიცილი, ამ შემთხვევაში ჯგუფური შედეგების მეთოდი შეიძლება კარგი დამხმარე საშუალება აღმოჩნდეს.

კონტრაქტი (შეთანხმება)

მასწავლებელი თითოეულ მოსწავლესთან დებს შეთანხმებას, რომელშიც აღწერილია, თუ რა უნდა გააკეთოს მოსწავლემ პრივილეგიებისა და ჯილდოს მისაღებად. ბავშვებთან ერთად პრივილეგიების განსაზღვრას, თავისთავად შეიძლება ჰქონდეს საგანმანათლებლო მნიშვნელობა, რადგან მოსწავლეები სწავლობენ მიზნების დასახვას და შეთანხმების პირობების შესრულებას. დავალების შესრულების კონტრაქტი, მიზანშეწონილია, გამოვიყენოთ საშუალო და მაღალ კლასებში.

პოზიტიური ქცევის განმტკიცება რეკომენდაციები:

1. გააცანით კლასს ქცევის წესები. მათი შესრულებისთვის რა პოზიტიურ განმტკიცებას (ჯილდოს) მიიღებენ, დარღვევისთვის კი რა სასჯელს.
 - მიიღეთ შეცდომის გულწრფელი აღიარება. მაგალითად, რადგან აღიარებ, რომ საკონტროლო სხვისგან გადაწერე, მე მოგცემ უფლებას, ხელახლა დაწერო ის.
 - შეაქეთ მოსწავლე დამსახურებისთვის.
2. როცა მოსწავლეები ახალ მასალას სწავლობენ, მიეცით ბევრი განმამტკიცებელი.
 - იპოვეთ და შეაქეთ რაიმე კარგი, ყოველი მოსწავლის პირველ ნამუშევარში.

- უბიძგეთ მოსწავლეებს ერთმანეთის დახმარებისკენ.
3. მას შემდეგ, რაც კლასში ახალი ქცევები დაინერგება, განახორციელეთ პერიოდული განმტკიცება, რათა უზრუნველყოთ ქცევის სიმტკიცე.
- გაუკეთეთ თქვენს მოსწავლეებს სიურპრიზები.
 - მიანიჭეთ ბონუს ქულები აქტივობისთვის.
4. დაადგინეთ, რომელია თქვენი მოსწავლეებისთვის ეფექტური განმამტკიცებელი და გამოიყენეთ პრემიის პრინციპი.
- დააკვირდით, როგორ ატარებენ მოსწავლეები თავისუფალ დროს.
 - დააკვირდით, რომელ მოსწავლეებს უყვართ ერთად მუშაობა. მეგობართან ერთად მუშაობა ხშირად კარგი განმამტკიცებელია.
5. გამოიყენეთ ახალი ქცევის წესების მანიშნებლები.
- დაკიდეთ კლასში სასაცილო/მხიარული ნიშნები, რათა მოსწავლეებს ქცევის წესები შეახსენოთ.
6. ეცადეთ, რომ ყველა მოსწავლემ (მათაც კი, ვინც პრობლემას გიქმნით) მიიღოს თქვენგან შექება, პრივილეგიები ან სხვა სახის ჯილდო.
- დროდადრო გადახედეთ მოსწავლეთა სიას, რათა დარწმუნდეთ, რომ ყველა ბავშვი იღებს თქვენგან შექებას.
7. შექმენით განმამტკიცებლების სია.
- მიეცით მოსწავლეებს უფლება, თავად შემოგთავაზონ განმამტკიცებლები ან აირჩიონ ისინი თქვენი „მენიუდან“.

დასჯა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასჯა ხშირად არ იწვევს არასასურველი ქცევის შემცირებას. ესაა ერთ-ერთი ძლიერი არგუმენტი მისი გამოყენების წინააღმდეგ. მასწავლებელი, რომელიც იყენებს მკაცრ მეთოდებს არასასურველი ქცევის აღმოფხვრის მიზნით, აჩვენებს ბავშვს აგრესიული ქცევის მოდელს (იხ. ა. ბანდურას თეორია), რომელსაც ბავშვი უკეთებს შემდეგ ინტერპრეტაციას - გარკვეულ პირობებში აგრესია მისალეზია.

ფსიქოლოგები კატეგორიულად გამოდიან ფიზიკური დასჯის გამოყენების წინააღმდეგ, თუმცა ნაკლები პრეტენზია აქვთ ისეთი სახის დასჯის მიმართ, როცა ბავშვს უხსნიან პოზიტიურ განმამტკიცებელს (ნეგატიური დასჯა).

გამოყოფენ დასჯის 3 სახეს: შენიშვნა, ტაიმ-აუტი და ჯარიმა.

შენიშვნა

შენიშვნა შეიძლება იყოს რბილი და უხეში, ვერბალური და არავერბალური.

შენიშვნის ეფექტურობა დამოკიდებულია:

1. შენიშვნა ყოველთვის უნდა მიუთითებდეს კონკრეტულ ქცევას. მაგალითად, სასურველია, ვთქვათ: - გიორგი, ნუ ელაპარაკები ნიკოს, და არა - გიორგი, ნუ აკეთებ ამას.
2. შენიშვნის მიცემისას უნდა ვიყოთ თანმიმდევრულნი. თუ ერთსა და იმავე საქციელზე ხან მივცემთ შენიშვნას და ხან - არა, მაშინ ეს შედეგს არ გამოიღებს.

3. შენიშვნის მიცემისას სასურველია დავდგეთ ბავშვთან ახლოს. განსაკუთრებით ეფექტურია 1 მეტრის მანძილიდან ნათქვამი შენიშვნა, ვიდრე ხმამაღალი, საჯარო შენიშვნა.
4. შენიშვნა უნდა მივცეთ ზრდილობიანი ფორმით.
5. გამოიყენეთ მარტივი და „შეუმჩნეველი“ შენიშვნები. მაგალითად, სიტყვა - „არა“, გამოხედვა, ყესტი, ჩჩჩჩჩ.....

მოსწავლეები, რომლებიც ავლენენ აგრესიას, ვანდალიზმს, ქურდობას და სხვა დესტრუქციულ ქცევებს, დიდი ალბათობით, არ მიიღებენ ზრდილობიანი ფორმით ნათქვამ შენიშვნას. ასეთ შემთხვევაში, მათი ქცევის კორექციაში უნდა ჩაერიოს სკოლის ადმინისტრაცია და ფსიქოლოგი. საბედნიეროდ, უფრო ხშირად მასწავლებელს უწევს ისეთი პრობლემების გადაჭრა, როგორცაა - გაკვეთილის გაცდენა, უყურადღებობა, დაგვიანება, ლაპარაკი გაკვეთილზე, დავალების ან წიგნის დატოვება სახლში. ასეთ შემთხვევაში, შენიშვნის მიცემა შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს.

ტაიმ-აუტი (time-out)

ბიჰევიორისტული მეთოდებიდან ერთ-ერთი ყველაზე საკამათოა სოციალური იზოლაციის სტრატეგია. მას ხშირად ტაიმ-აუტს უწოდებენ. ამ მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეებს უხსნიან განმტკიცებას. მაგალითად, არ წაიყვანენ ექსკურსიაზე (თუ, რა თქმა უნდა, ეს მას უნდოდა).

შეიძლება მოხდეს ბავშვის იზოლაცია სიტუაციიდან (მაგალითად, კლასიდან, სათამაშო მოედნიდან, ბიბლიოთეკიდან) და მისი გადაყვანა სხვა ადგილას (მაგალითად, სამასწავლებლოში, დირექტორის კაბინეტში, ცარიელ ოთახში, კუთხეში დაყენება ან გადასვამენ სხვა მერხზე). მართალია, ამ მეთოდს ხშირად იყენებენ სკოლაში, მაგრამ ჰუმანისტები მისი წინააღმდეგი

არიან (იხ. ჰუმანისტური თეორია), ვინაიდან ის არღვევს ბავშვის უფლებებსა და ადამიანურ ღირებულებებს.

ჯარიმა

ჯარიმის ტექნიკის გამოყენების დროს ბავშვები კარგავენ პოზიტიურ განმამტკიცებელს - დრო, ფული, პრივილეგია. მაგალითად, როცა მოსწავლე პირველად დაარღვევს წესს, ის იღებს გაფრთხილებას, მეორედ დარღვევის შემთხვევაში კი კარგავს დასვენების 2 წუთს.

ჯარიმის ერთ-ერთი ფორმაა ზემოთ აღწერილი შეტონების სისტემა, როცა ბავშვს აძლევენ ჯილდოს სასურველი ქცევისთვის და ართმევენ არასასურველი ქცევისთვის. მაგალითად, ყოველი ხელის აწევისთვის (კითხვაზე პასუხის გასაცემად) ვაძლევთ შეტონს, ხოლო ადგილიდან პასუხის წამოძახების შემთხვევაში კი ვართმევთ.

სასჯელის გამოყენება.

რეკომენდაციები:

1. იყავით თანმიმდევრული სასჯელის გამოყენებისას.
 - ნუ შეხვალთ მოსწავლესთან კონფრონტაციაში, რათა ისინი არ გახდნენ ე. წ. გმირები კლასის თვალში, მასწავლებელთან დაპირისპირების გამო.
 - მოსწავლეებმა სწავლის დასაწყისში უნდა იცოდნენ, თუ რა შედეგი მოჰყვება საკლასო წესების დარღვევას.
 - უთხარით მოსწავლეებს, რომ სასჯელის მიღებამდე ისინი მხოლოდ ერთ გაფრთხილებას მიიღებენ. მშვიდად გააფრთხილეთ და განაგრძეთ გაკვეთილი.
 - სასჯელი მყისიერი უნდა იყოს.

2. ყურადღება გაამახვილეთ მოსწავლის ქცევაზე, და არა მის პიროვნულ თვისებებზე.
 - შენიშვნა მიეცით მშვიდი, მაგრამ მკაცრი ხმით.
 - ხაზი გაუსვით პრობლემური ქცევის გამოსწორების აუცილებლობას.
 - არ განასხვაოთ მოსწავლეები მათი ეროვნების მიხედვით.
3. შეუსაბამეთ სასჯელი დარღვევას.
 - ნუ გაამახვილებთ ყურადღებას უმნიშვნელო დარღვევაზე. შეაჩერეთ ეს საქციელი მზერით, ან მიუახლოვდით მოსწავლეს.
 - ნუ გამოიყენებთ სასჯელის სახით საშინაო დავალებას ისეთი საქციელისთვის, როგორცაა საუბარი კლასში.
 - თუ მოსწავლე ცუდად იქცევა თანაკლასელებში ავტორიტეტის მოსაპოვებლად, ეფექტური სასჯელი იქნება მისი მეგობრებისგან ჩამოცილება.
 - დარწმუნდით, რომ სასჯელი დანაშაულს შეესაბამება.
 - თუ პრობლემური საქციელი დიდხანს გრძელდება, გააანალიზეთ სიტუაცია და გამოიყენეთ ახალი მიდგომა. შესაძლოა, თქვენი სასჯელი არ იყო მოსწავლისთვის ღირებული, ან არასასურველ მოქმედებას აძლიერებდა.
4. შეეცადეთ, სასჯელის ნაცვლად, უარყოფითი განმტკიცება გამოიყენოთ.

ბიჰევიორიზმის ძირითადი იდეები:

1. ბიჰევიორისტები ხაზს უსვამენ გარემოს (სტიმული) როლს სწავლაში და ყურადღებას ამახვილებენ ქცევაზე - ისეთ საპასუხო რეაქციაზე, რომელზეც დაკვირვება შეიძლება.

2. ბიჰევიორისტული გაგებით, სწავლა მოიცავს - იდეათა ასოციაციით სწავლას, კლასიკურ განპირობებას, ოპერანტულ განპირობებას და დაკვირვებაზე დაფუძნებულ სწავლას (იხ. ბანდურას თეორია).
3. კლასიკური პირობითი რეფლექსის დროს, ნეიტრალური სტიმული უკავშირდება სტიმულს, რომელიც ემოციურ ან ფსიქოლოგიურ რეაქციებს იწვევს. შემდეგში - ადრე ნეიტრალური სტიმული გამოიწვევს საპასუხო რეაქციას.
4. სკინერის ოპერანტული განპირობების კონცეფციის თანახმად, ადამიანები სწავლობენ საკუთარი, მიზანმიმართული საპასუხო რეაქციის ეფექტიანობის საფუძველზე.
5. ადამიანისთვის მისი ქცევის თანმდევ შედეგთა ეფექტები შეიძლება ასრულებდეს განმამტკიცებლის ან სასჯელის როლს. შედეგი მიიჩნევა განმამტკიცებლად, თუ ის აძლიერებს ან ინარჩუნებს იმ საპასუხო რეაქციას, რომელმაც ადრე ეს შედეგი გამოიწვია. შედეგი ითვლება სასჯელად, თუ ის ამცირებს ან თრგუნავს გამომწვევ საპასუხო რეაქციას.
6. განმტკიცების პროცესი ყოველთვის გულისხმობს (ნეგატიური თუ პოზიტიური) ქცევის გაძლიერებას. პოზიტიური განმტკიცების დროს ვაწოდებთ სასიამოვნო განმამტკიცებელს (სტიმულს), როცა ვაშორებთ („გამოვაკლებთ“) არასასიამოვნო სტიმულს, განმტკიცება ნეგატიურია.
7. დასჯა (პოზიტიური თუ ნეგატიური) გულისხმობს ქცევის შემცირებას ან დათრგუნვას. პოზიტიური დასჯის დროს ვაწოდებთ ავერსიულ (უსიამოვნო) სტიმულს, ხოლო ნეგატიური დასჯის დროს კი ვაშორებთ („გამოვაკლებთ“) სასიამოვნო სტიმულს.
8. ქცევის განმტკიცების უწყვეტი განრიგი (ხდება ყველა რეაქციის

განმტკიცება) ინვეს სწრაფ დასწავლას. განმტკიცების ცვალებადი განრიგი (დამყარებული ცვალებადი რაოდენობის საპასუხო რეაქციებისა და დროის ცვლად ინტერვალებზე) გააძლიერებს საპასუხო რეაქციათა სიმტკიცეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი მეცნიერი აკრიტიკებს სწავლის ბიჰევიორისტულ თეორიას. კრიტიკა ძირითადად ეხება შემდეგ საკითხებს:

- ბიჰევიორიზმი განიხილავს ადამიანის ქცევას, როგორც საპასუხო რეაქციას გამლიზიანებელზე, აქედან გამომდინარე, ადამიანი დაყვანილია რობოტის, მარიონეტის დონეზე.
- ბიჰევიორიზმი არ ითვალისწინებს ადამიანის თანდაყოლილ უნარებს, მიდრეკილებებს და ინდივიდუალურ თავისებურებებს.
- ბიჰევიორიზმი არ აქცევს ყურადღებას ადამიანის მოტივებს, განზრახვას, განწყობას.

რამდენადაც უნდა გაგიკვირდეთ, ყველა ეს შენიშვნა აღნიშნული აქვს თვითონ სკინერს თავის შრომებში, სადაც სცემს მათ პასუხს ბიჰევიორისტული პოზიციებიდან.

მიუხედავად კრიტიკისა, დღეს ბიჰევიორიზმი კვლავ სერიოზულ მიდგომას წარმოადგენს.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ბიჰევიორისტულ თეორიებში მთავარი ყურადღება ექცევა გარემო ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ სწავლას. ამ პროცესში ცენტრალური ფიგურაა მასწავლებელი. ბიჰევიორიზმი ძალიან ეფექტურად გამოიყენება მოსწავლეებში არასასურველი ქცევის შესაცვლელად და სასურველი ქცევის დასასწავლად. ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ბიჰევიორიზმი სწავლების ყველაზე წარმატებული სტრატეგიაა და, მასწავლებელთა სათანადო მომზადების შემთხვევაში, სწავლება მიმდინარეობს იოლად და ეფექტურად.

გამოყენებული ტერმინები:

უპირობო სტიმული - სტიმული, რომელიც ავტომატურად იწვევს ემოციურ ან ფიზიოლოგიურ რეაქციას.

უპირობო რეაქცია - ბუნებრივად აღძრული ემოციური ან ფიზიოლოგიური რეაქცია.

ნეიტრალური სტიმული - სტიმული, რომელიც არ არის დაკავშირებული რეაქციასთან.

პირობითი სტიმული - ნეიტრალური სტიმული, რომელიც განმტკიცების შემდეგ აღძრავს ემოციურ ან ფიზიოლოგიურ რეაქციას.

პირობითი რეაქცია - დასწავილი რეაქცია მანამდე ნეიტრალურ სტიმულზე.

კლასიკური განპირობება - ავტომატური რეაქციების დაკავშირება ნეიტრალურ სტიმულთან, რომელიც, გამეორების შემთხვევაში, ხდება პირობითი სტიმული - იწვევს რეფლექსს ან ემოციურ რეაქციას.

ოპერანტიული განპირობება - დასწავლის ფორმა, რომელიც გულისხმობს ქცევის გაძლიერებას განმტკიცების შედეგად.

რესპონდენტი (სკინერის ტერმინი) - რაიმე სტიმულზე რეაქცია.

ოპერანტი (სკინერის ტერმინი) - რეაქცია, რომელიც არ არის გამოწვეული რაიმე სტიმულით.

განპირობება - დასწავლის სახე, როდესაც კავშირი მყარდება სტიმულსა და რეაქციას შორის.

პოზიტიური განმტკიცება - გულისხმობს პოზიტიური სტიმულის მიწოდებას.

ნეგატიური განმტკიცება - გულისხმობს ნეგატიური (ავერსიული) სტიმულის მოცილებას.

პოზიტიური დასჯა - მიეწოდება ავერსიული სტიმული.

ნეგატიური დასჯა - იხსნება სასიამოვნო, პოზიტიური სტიმული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე (2008 წ.). განვითარებისა და სწავლის თეორიები. საქართველოს მაცნე.
2. ა. ვულფოლკი (2012 წ.). განათლების ფსიქოლოგია. ილიას სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. Г. Лефрансуа (2003г.). Психология для учителя. Питер.
4. Баттерворт Дж. Харрис М. (2000г). Принципы психологии развития. М. Когито- Центр.
5. Хьелл Л. Зиглер Д. (1997г.). Теории личности. СПб. Питер.
6. Д. Фейдимен Р. & Фрейджер (2004г.) Теории личности и личностный рост. М. ОЛМА ПРЕСС.
7. Хон Р. (2005г.) Педагогическая психология: Принципы обучения. М. Академический проект
8. Джон Б. Уотсон (1998). Психология как наука о поведении. Бихевиоризм. Москва. АСТ.
9. Skinner B. F. (1974). About behaviorizm. New York: Knopt.
10. Skinner B. F. (1971). The technology of teaching. New York: Appleton-Century- Crofts.
11. Catania C. & Harnad S. (1988). The selection of behavior. The operant behaviorizm of B. F. Skinner. New York: Cambridge University Press.

